მართლმადიდებლური ღვთისმსახურება ჩატარდა საფრანგეთის ტალმონის წმინდა რადეგუნდის სახელობის ძველ ტაძარში

2021 წლის 19 აგვისტოს უფლის ფერისცვალების დღესასწაულზე, საპატრიარქოს დასავლეთ ევროპის ეგზარქოსის კორსუნისა და დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტ ანტონის ლოცვა-კურთხევით, სადღესასწაულო საღვთო ლიტურგია აღესრულა ატლანტიკის ოკეანის სანაპიროზე, სოფელ ტალმონ-სურ-ჟირონდეში მდებარე ფრანკთა დედოფლის წმინდა რადეგუნდის (+555) სახელობის უძველეს ტაძარში.

ტალმონში ფერისცვალების დღეს ღვთისმსახურებოს აღვლენის ტრადიცია ინიცირებული იყო ნახევარი საუკუნის უკან ოსორგინების ოჯახის მიერ, რომლებიც პირველი რუსული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენლები არიან. ადრე სადღესასწაულო ლიტურგიას ოკეანის კდლოვან სანაპიროზე, ღია ცის ქვეშ ატარებდნენ, რამდენიმე წლის წინ კი ქალაქ ლა-როშელის კათოლიკურმა დიოცეზმა ფერისცვალების დღისთვის მართლმადიდებლური ღვთისმსახურების ჩასატარებლად წმინდა რადეგუნდის უძველესი ტაძარი გამოყო, რომელიც XII-XIV ასწლეულების საფრანგეთის რელიგიური არქიტექტურის ძეგლია.

ლიტურგიის დასრულების შემდეგ, რომელიც კორსუნის ეპარქიის მდივანმა და მოლდოვის დიასპორის მოძღვარმა მღვდელმონაზონმა იოსებმა (პავლინჩუკი)აღასრულა, ყურძნისა და სხვა ახალი ხილის ტრადიციული სადღესასწაულო კურთხევის წეს-განგება შესრულდა.

კორსუნის ეპარქიის საიტი/

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87916/